ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 179

დამატების № 32

სამშაბათი, 6 იანვარი 1915 წ.



ბრძოლის ველიდან. შვილის დაღუპვის გამჟღავნება.

სალომეს ოჯახი

პიესა სამ მოქმედებად

(შემდეგი *)

ლევანტი. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი ჟივილ-ხივილი კია ამ ქალაქში. ყურთა-სმენა არაა სწორედ. მე კარგა ხანია გადავეჩვიე ამ ღრიანცელს და ცოტა არ იყოს, შევწუხდი.

სალომე. საქმე მიჩვევაა. უწინ მეც ასე ვიყავი, მაგრამ ადამიანი თურმე ყველაფერს ეგუება.

შემოდის კესო.

სალომე. (კესოს) რათა სტიროდა, ხომ არა უტკენია რა?

კესო. წაქცეულა და ცოტათი ხელები გაუფხაჭნია.

სალომე. ჰოი, რა ცელქია, რა ცელქი ის გასაქრობი (ლევანტის), უკაცრავად, სადილს უნდა მივხედო. აბა, შვილო, ვინძლო სტუმარი არ მოაწყინო (გადის).

ლევანტი (კესოს). ამ დღეებში, თურმე, ლეოსაც მოელით. წარმოდგენილი მაქვს, როგორ გენატრებათ.

კესო. უზომოთ. სულ მის მომავალზე ვოცნებობთ. ვინ იცის, რამდენ იმედებს ვამყარებთ მასზე.

ლევანტი. თავს რითი ირჩენდა?

კესო. სანამ მე ჩავდგებოდი სამსახურში, მთელი ხარჯი გიორგის აწვა კისერზე. ეს ცხრა თვეა არა გაგვიგზავნია-რა. რაღაც კერძო საქმე აუჩენია და კაი გვარიან სასყიდელს ვიღებთო, მოგვწერა.

ლევანტი. რატომ სტიპენდია არ ითხოვეთ?

კესო. გიორგიმ არ ისურვა, რომ მისი ოჯახის წევრი ჩვენი ბურჯების ხარჯით გაზრდილიყო. ალბად ისინიც უარს ეტყოდნენ მიმართულების გამო.

ლევანტი. ჰმ! (თავს გაიქნ-გამოიქნევს).

გიორგის ხმა ეზოში. ილიკო! რამდენჯერ მითქვამს შენთვის, „ასე თამაშობა არ შეიძლება-მეთქი“!

ლევანტი. აი ჩემი გიორგიც. ძლივს არ ჩავიგდე ხელში! (გავა აივანზე და გადიხედავს). აქა ვარ, გიორგი, დაგასწარი, დაგასწარი: (შემოდის გიორგი).

კესო (გადის დედასთან).

ლევანტი. ოქრო ასანიძე რა უყავით, გიორგი? მინდოდა იმასაც გავცნობოდი დაახლოვებით.

გიორგი. რედაქციაში შეიარა. თუ დრო დაურჩა, მოვა (ჟურნალ-გაზეთებს დააწყობს მაგიდაზე).

ლევანტი. ახ, რა სასიამოვნო სურათი ვნახე დღეს. ორი ცნობილი ქართველი, ორი შეურიგებელი მოქიშპე მარგალიტაძე და ასანიძე, ხელი-ხელ გაყრილნი მიდიოდნენ დღეს ქუჩაში. ამას მე, ბატონებო, უბის წიგნში ჩავიწერ უსათუოდ, ისეთი მძულვარება და ერთი-მეორის გაუტანლობაა დღეს გამეფებული ჩვენს მწერლობაში,

*) იხ. სურათებიანი დამატება № 13.

რომ გაზეთის ხელში აღებაც კი შემძაგდა. სწორედ ყველა ამის შემდეგ როგორ წარმოვიდგენდი თქვენს მეგობრობას, ნამეტნავად იმ ცხარე წერილების შემდეგ. ახ, ძმებო, რა კარგი იქნებოდა, რომ ეს მეგობრობა მწერლობაშიაც გადაგეტანათ. ჩვენი ქვეყნის მომავალი თქვენს თანხმობაშია და არა ამ გაუთავებელ კამათში

გიორგი. ჩვენი კამათი არკვევს ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტება კი აშუქებს ხალხის გონებას. სად ნახულა, რომ მთელი ქვეყანა ერთი ხაზითა და ლარით მიდიოდეს. როცა იბრძვიან, სჩანს იმათ შორის განსხვავებაც ყოფილა, არა ლევანტი, ორ სკამზე ჯდომით არსად არაფერი გაკეთებულა.

ლევანტი. ვაი, ამ დღეს!

გიორგი აბა, ეხლა შენ შვილზე ვილაპარაკოთ. დამავიწყდა, რომელ კლასშია, ვგონებ, მეოთხეში...

ლევანტი. არა, მეხუთეში

გიორგი. რა საგნებში კოჭლობს?

ლევანტი ფრანგულში და მათემატიკაში.

გიორგი. კარგი, იაროს.

ლევანტი. შენი სულის ჭირიმე, შენი! ეხლა კი აღარაფრის არ მეშინიან. აბა, ეხლა ფასში მოვრიგდეთ.

გიორგი. ღირს კი ამაზე ლაპარაკი?

ლევანტი. მაინც, მაინც?

გიორგი. ნუ იცი ხოლმე ჩაციება.

ლევანტი. კარგი, კარგი, რაკი შუბლი შაიკარ, მეც გავჩუმდები. ხოლო იცოდე, მაგ სიკეთეს არ შევირჩენ. ეხლა კი ნახვამდის.

გიორგი. რა დროს წასვლაა, საცაა სადილიც იქნება.

ლევანტი. თქვენთან ყოფნას რა მირჩევნიან, მაგრამ გარემოება რომ არ მანებებს? ერთი საათის შემდეგ სადგურზე რომ არ ვიყო, დიდი ზარალი მომივა.

გიორგი. რახან ასეა—ვერ დაგიჭერ. ნახვამდის.



ᲥᲐᲠ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ (ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘᲐ)

ლევანტი. ნახვამდის შენი ჭირიმე.

გიორგი. დედა, კესო! გამოდით, სტუმარი მიდის.

სალომე და კესო.

სალომე. ლევანტი, რა დროს წასვლაა, დარჩით სადილად.

ლევანტი. არას გზით არ შემიძლიან, ბ-ნო სალომე, ნახვამდის (ხელს ართმევს ყველას და გადის).

მცირე პაუზა.

გიორგი. ტატე სად არის?

სალომე. დათიკოსთან წავიდა (შედის სამზარეულოში).

გიორგი (კესოს მიმავალს). კესო, დარჩი! რამე უნდა გითხრა.

კესო (შედგება). რა?

გიორგი მინდა საკუთრად შენზე მოგელაპარაკო.

კესო. ჩემზე?

გიორგი. ჰო.

კესო (თავის ქნევით). ამბავი?

გიორგი. აი რა: დღეს გამომიტყდა ჩვენი იდეალისტი, რომ „კესო უზომოთ მიყვარს, მაგრამ თქმას ვერ ვუბედავო“. ნუ გაიცინებ, ხომ იცი რა მორცხვი კაცია. მე მინდა გავიგო შენი აზრი. იყავ გულ ახდილი (ნაზი ღიმილით), თუ არა ვსცდები, შენც უნდა მოგწონდეს ოქრო, ვგონებ, მიმართულებაშიაც ენათესავები.

კესო (მცირე პაუზა). აი, რა გიორგი: რაკი სიტყვამ მოიტანა, გულწრფელად ვაღვიარებ, რომ ოქრო მართლაც მიყვარს და თუ იმისი ნებაცაა, მე დიდის სიხარულით შევუერთებ ჩემს ბედს მისას

გიორგი. ურაა! (აკოცებს შუბლში). ჩემოო უმანკო! რომ იცოდე, როგორ გამახარე. იმისი ნება კი არა, კაცს უშენოთ ვერც კი წარმოუდგენია სიცოცხლე. პირადად იმის ღირსებაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, მეტია. ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ მის მაღალ ბუნებას და დიდ ნიჭს. ახ, კესო, ეს გარემოება მე რამდენიმე წლის სიცოცხლეს შემმატებს, ვიცი. აბა ეხლა დედასაც ვახაროთ. დედა, დედა. ახალი ამბავი, ახალი ამბავი.

სალომე. რა ახალი ამბავი? სულ ერთია, კაი არ იქნება-რა.

გიორგი. არა დედა, არა. ამხანად მართლაც, რომ კაი ამბავია, ჩვენ ყველას სიხარული გვმართებს.

სალომე. ეს ხომ ქვეყნის დაქცევა იქნება?

გიორგი. ჰო, კარგია ერთი. გაშალე ეგ შუბლი. იცი დედა, ჩვენი კესო თხოვდება.

სალომე. კესო? ჩემო კესო?

გიორგი. დიაღ, დიაღ.

სალომე. მერე და მე ხომ ცოცხალი ვარ ჯერ. არ გეკადრებოდათ ჩემთვისაც გეკითხათ რჩევა? ვინ არის?

გიორგი. ვიცი გიამება, ჩვენი ცნობილი მწერალი ოქრო ასანიძე.

სალომე. იფ! ეს მართლაც, რომ სასიხარულო ამბავია. ვმადლობ უფალს. ძლივს ერთი ნატვრა არ ამისრულდა! (აკოცებს კესოს) გაგაბედნიეროს, შვილო, ღმერთმა არავინ იფიქრებდა, თუ შენ კნეინა გამიხდებოდი, გენაცვალოს ოქრო.

გიორგი. აი, თითონ ოქროც' მომილოცნია, შენ—სიძე, მე-ცოლის ძმა.

ოქრო. (შეკრთება. კესოს გაუბედავათ) ნუ თუ მართლა?

კესო მეგობარო! ინებეთ ჩემი ხელი!

ოქრო. ახ, კესო (ხელზე ჰკოცნის).

გიორგი. აბა, დედა, დატრიალდი შენებურად, ამ გახარებულ გუნებაზე ერთი წაგვაქეიფე სული ნუ წაგიწყდება. და თუ ამაღამ ლეოც მოვიდა, საქმე გაჩალხულია.

ᲞᲝᲓ. ᲡᲝᲚ. ᲖᲐᲚᲓᲐᲡᲢᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘᲐ)

სალომე. შვილო, სწორედ ენამ გიყივლა: მოვა, უსათუოდ მოვა, ენაცვალოს დედა.

გიორგი. იცი ოქრო, მე შენ დღეს ჩემი ვენახის ღვინის დაგალევინებ.

კესო. „ჩემი ვენახის“-ას განა დამიხედეთ მემამულეს ხა-ხა-ხა.

გიორგი. მაშ, მაშ!

სალომე თუმცა ჩვენებური ღვინო ოქროსთან რა გამოსაჩენია, მაგრამ...

ოქრო. ახ, ბატონო სალომე, თქვენ ნუ მოიბოდიშეთ, როგორ იქნება.

გიორგი. მართლა ოქრო, ერთხელ ვერა გკითხე: სოფლად გაგაჩნია რამე?

ოქრო. არაფერი.

სალომე. უი, გამიქრეს დღენი! სრულიად, სრულიად?

ოქრო. თითქმის.

გიორგი. ოჰო! დედას უკვე შეეშინდა.

სალომე. (გიორგის) დამაცა ერთი! (ოქროს) არც იმდენი, რამდენიც გიორგის?

ოქრო. რა შედარებაა, ბატონო.

გიორგი. (სალომეს ხმა დაბლა) უარი უთხრათ, თორემ შიმშილით დაიხოცებიან.

სალომე. დამაცა მეთქი' (ოქროს) მერე და როგორ მოხდა ეს?

ოქრო ნუ დაივიწყებთ, ბატონო, რომ მე თავადის მოდგმისა ვარ. ცნობილ მამა'ემს ქეიფი უყვარდა და ყველაფერი, რასაც ასე თუ ისე ფასი ჰქონდა, მიჰყიდ-მოჰყიდა. როცა არა დაურჩა რა, გამაწანწალებას თავის მოკვლა ამჯობინა, იკრა ტყვია შუბლში და წავიდა. დამიტოვა ერთი გაფერნებული ეზო და ძველებური კოშკი. ჩემს მამულში ეხლა ყვავ-ყორანთა ჩხავილი ღა მოისმის მხოლოდ.

გიორგი. (დედას) უარი მეთქმი, ეს კაცი შემოჩენილია. (ოქროს) შე დალოცვილო, ოქრო, თუ კი ასე ჭანდრაკულად იყო შენი საქმე, ბარემ დროზე იტყოდი, თორემ ისე ერთი კაცმა გკითხოს ვის რაში ეპრიანება შენი რაღაც მეგაზეთეობა. ასეა, არა დედილო? (ყველანი იცინიან სალომეს გარდა).

სალომე. (ოქროს) შენმა მართალმა აღსარება ცოტათი დამანაღვლიანა, მაგრამ მაინც არა გწუნობ. თუ ცოცხალი იქნები, ყველაფერს შეიძენთ (გადის სამზარეულოში).

გიორგი. (ოქროს) ხომ ნახე რა ანგარიშიანია. ყველანი უზომოთ ვუყვარვართ, მაგრამ ცალი თვალი მაინც ჯიბისკენ უჭირავს.

ოქრო. ეს პროზაა.

კესო აგერ სიმონაც მოვიდა.

გიორგი. ესეც პროზაა.

სიმონ. გამარჯვებათ! (ხელს ართმევს ყველას).

ყველანი. გაგიმარჯოს.

გიორგი. აბა, გაიხადე პალტო. კორექტურა მერე იყოს. ჯერ ვისადილოთ.

სიმონ. გმადლობთ, არა მცალიან. მე ორიოდე წუთით შემოგიარე.

გიორგი. რას იტყვი?

სიმონ. შენთან საქმე მაქვს.

ოქრო და კესო. (აივანზე გავლენ და მიეფარებიან).

გიორგი. დაჯექ! (ამოიღებს უჯრიდან წიგნის კორექტურას) ჯერ ჩაიბარე ეგ შენი კორექტურა.

სიმონ. სულ გაასწორე?

გიორგი. კიდევ რამდენი ფორმაა?

სიმონ. სამი.

გიორგი. მაშ, წიგნი მალე იქნება.

სიმონ, ერთ კვირაში სულ მზად იქნება.

გიორგი. აბა? მე ყურს გიგდებ. რა იყო, რა გაგჭირებია? რა სახე ჩამოგტირის კაცო!

სიმონ. (ოფლს იწმენდს) იცი, გიორგი, ერთი ფრიად საწყენი ამბავი გავიგე.

გიორგი. რა ამბავი?

სიმონ. არ ვიცი კი რამდენად მართალია, მაგრამ ხმები დადის რომ ლეო აბულაძისტებიდან სტიპენდიას იღებდაო და იმ წიგნაკის ავტორიც ის არისო.

გიორგი. (თავ-ზარდაცემული) ახ!.. ჩემი ძმა!

სიმონ. (თავს უფრო დაბლა ჩაჰკიდებ).

გიორგი. დაუჯერებელია, დაუჯერებელია. ვინ ჩემი სპეტაკი, მოუსყიდველი ლეო და ვინ ასეთი გათახსირება. ღმერთო ჩემო რა ტანჯვაა! ახ, სიმონ შენმა მოსვლამ მე დღეს ყველაფერი წამართვა, ყველაფერი. თითქოს შეგშურდა შე უღმერთო ჩვენი ისედაც იშვიათი სიმხიარულე.

სიმონ. იქნებ არაა მართალი.

გიორგი. ახ, თუ მართალი არ იყო, რაღას მეუბნებოდი. გამიგონე! ამაზე ჩვენებთან კრინტი არ დასძრა, გესმის? არ დასძრა. ეს დღე განსაკუთრებული დღეა იმათთვის.

კესოს ხმა. დედა, გიორგი! (შემორბის) ლეოსაგან დეპეშაა, დეპეშა.

სალომე. (გამოდის).

კესო. (კითხულობს) „დღეს სალამოს თქვენთანა ვარ. ლეო“.

გიორგი. (აღელვებული) მაშ, გავიხაროთ ჩემო კარგო, ყველამ გავიხაროთ!

სალომე. გმადლობ შენ, უფალო!

კესო. ღმერთო, რა ბედნიერი დღე გამითენდა!

ფ ა რ დ ა.



გერმანელების ჯავშნიანი ვაგონი.

მოქმედება მეორე.

იგივე სცენა.

(ფარდის ახდისას კესოს მოჰყავს წინა კარებში პატარა ილიკო).

კესო. მოდი, ჩემო სულიკო, მოდი. გეყო ხტუნაობა. ამ დროს ჩიტებიც კი თავიანთ ბუდეს მიაშურებენ ხოლმე.

ილიკო. მამიდა! ძია ლეო როდის უნდა მოვიდეს?

კესო. აკი წელან გითხარი ამაღამ მეთქი. ასე მალე დაგავიწყდა?

ილიკო. ნეტავი თუ რასმეს მომიტანს.

კესო. აბა, მე რა ვიცი. ამას მერე ვნახავთ.

ილიკო. პროჟექტორშიც ხომ წამიყვანთ?

კესო. განა მარტო პროჟექტორში, ყველგან, ყველგან, სადაც კი შეიძლება შენი წაყვანა, ჩემო ბიჭიკო. (ახედ-დახედავს) ფუი, როგორ მოგითხუპნია სახე. (შევა სასადილო ოთახში, გამოიტანს სველ პირსახოცს და მოუსვამს პირისახეზე).

ილიკო. ჩქარა ჰო, მეტკინა.

კესო. დაიცა, ბიჭო, ნუ ხარ მეთქი სულ-სწრაფი. აბა ეხლა ეს პაწაწკინა ხელებიც გავაპატიოსნოთ. შეხე რამოდენა ჭუჭყია. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, სიფაქიზე კარგია მეთქი, მაგრამ რო ვერა შეგასმინერა! ახ, შე უხეირო შენა! (ისმის ეზოში ბავშვების ჟრიამული).

ილიკო. (ყურებს აცქვეტს) აგე! აგე!

კესო. ძალიან გინდა? კარგი, წადი, მხოლოდ ერთის პირობით, არ მოითხუპნო, თორემ არ ვიცი, რას გიზავ!

ილიკო. არა, არა. (გავარდება).

კესო. (სველი პირსახოცით შედის სასადილო ოთახში).

შემოდის ოქრო.

კესო. (გამოდის თავ-ჩაღუნული, უეცრივ ოქროს შენიშნავს და ოდნავ შეკრთება) ახ როგორ შემაშინეთ!

ოქრო. დიდი, ბოდიში მარტო ხართ?

კესო. (ნაზი ღიმილით) მარტო, ჩემო სიყვარულო, მარტო.

ოქრო. (ჩაეხვევიან ერთმანეთს, მერე თვალებში ჩააცქერდება) ეს ღრმა და მეტყველი თვალები. ღმერთო ჩემო რამდენი სიტურფე და შინაარსია შიგ ჩაქსოვილი. (ჰკოცნის) სხვა, სად არიან თქვენები?

კესო. დედა სალამოს ლოცვაზეა მამადავითში. გიორგი კი ფრანგული ენის გაკვეთილზე. სხვა როგორ გიკითხოთ? სად გაჰქრით? მე კი თქვენს ლოდინში ლამის თვალები გამომილამდეს.

ოქრო. ახ კესო, გაიმეორეთ ეგ სიტყვები, გაიმეორეთ. ღმერთო ჩემო! რა ბედნიერია მამა კაცი, როცა იმას სათაყვანო არსება ელოდება. აი ჩემო კარგო სადილის შემდეგ იმიტომ ავჩქარდი, რომ რაღაც ძალზე მომინდა მარტოდ ყოფნა ჩემო ტკბილ ფიქრებთან ერთად. მას მერე სულ სახლში ვიჯექ და ვოცნებობდი. დღევანდელი დღე უდიდესი ნეტარების დღეა ჩემთვის.

კესო. ნუ თუ, ოქრო?

ოქრო. კესო, თქვენ შეურაცმყოფთ მაგ კითხვით. ასეთ გაზაფხულს ადამიანი მთელ თავის ხანმოკლე სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ განიცდის. გაგვიელვებს მოჩვენებასავით და გაჰქრება.

კესო. ახ, ოქრო, ჩემო ოქრო! რა ბედნიერები ვართ, რა ბედნიერები!

ოქრო. ძვირფასო ჩემო! (აკოცებს) ეხლა კი ერთი რამ მინდა გკითხოთ, იმედია სულსწრაფობაში არ ჩამომართმევთ.

კესო. აბა?

ოქრო. ჯვარი როდის დავიწეროთ?

კესო. როცა თქვენი ¹ურვილია.

ოქრო. მაინც, მაინც?

კესო. აი თუნდ თიბათვეში, ჩვენსა, სოფელში, კარგი?

ოქრო. დიდის სიხარულით, დიდი სიხარულით.

კესო. ეხლა მე მინდა, ერთი რამ გიმახარობლოთ.

ოქრო. ბრძანეთ. არ ვიცი კი სწორედ ამაზე მეტად რამ უნდა გამახაროს.

კესო. შემოდგომიდან მე ამ უბნის სკოლის გამგეობას მაძლევენ, რას იტყვი?

ოქრო. რა უნდა ვსთქვა!.. განა ეხლა მაგაზე ფიქრისთვის მცალიან?

კესო. რატომ ცხოვრების საქმეა.

ოქრო. (მხრებს აიჩეჩავს) შეიძლება. ქალები საზოგადოდ ჩვენზე უფრო პრაქტიკული ხალხია.

კესო. მით უმეტეს თქვენისთანა გაუსწორებელ რამონტიკოსთან შედარებით. (ორივენი იცინიან).

ოქრო. ჩინებულია, ჩინებული, ჩემო მეგობარო. ეხლა კი ლეოს ამბებს მოგიყვებით.

კესო. მართლა?

ოქრო. დიაღ, აი ის ეშმაკი ისა! თურმე ნუ იტყვით, აბულაძიანთ თამართან არ ყოფილა გამიჯნურებული?

კესო. ოჰო!

ოქრო. მიწერ-მოწერაცა ჰქონიათ ერთმანეთთან.

კესო. ნუ თუ მართლა?

ოქრო. დიაღ. კესო! რას ნიშნავს ეს შემკრთალი კილო? განა არ გიამებოდათ, თამარი, რომ თქვენი რძალი გამხდარიყო?

კესო. არ ვიცი რა გითხრათ. შეიძლება ძალიან კაი საქმეც იყოს, მაგრამ...

ოქრო. მაგრამ რა?

კესო. რაღაც მეშინიან, შური არ იძიოს და ლეო არ დამიღუპოს. თქვენი აზრი თამარზე?

ოქრო. ვფიქრობ, შემცდარი ხართ. თამროს მე გვარიანად ვიცნობ. თუ კარგად არ დააკვირდით, ზერელე შეხედულებით, მართლაც ტიტანიური არსების შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მქონდა შემთხვევა, ცოტათი გადამეფხიკა მისი სულის ზედა პირი, აი მაშინ კი სრულიად შემეცვალა აზრი. ჩემი აზრით ის არსებითად ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანი ქალია მხოლოდ იმ საზოგადოებრივმა ატმოსფერამ, რომელშიაც ის აღიზარდა ცუდი გავლენა იქონია მასზე. მოაშორეთ იმ ხალხს და თამარს ვერც კი იცნობთ—აი ჩემი აზრი.

კესო. ოქრო, გენაცვალე, დედას ნუ ეტყვით ჯერ-ჯერობით. ვიცი, არ იამება. ვინ იცის საწყალს რა არ მოელანდოს. წარმოიდგინეთ, ვიღაცას ჩაუგონებია, გიორგის ემუქრებაო და ამის გამო ვეღარ ისვენებს.

ოქრო. დამუქრებისა რა მოგახსენო, მაგრამ, რომ სძულს—ეს კი მართალია.

კესო. თუ ის კეთილი სულია, რათ უნდა სძულდეს?

ოქრო. წარმოიდგინეთ კესო, რომ შეიძლება ასე მოხდეს. დიდი გონებრივი სიმაღლეა საჭირო, რომ საზოგადოებრივი ბრძოლა, პირადობაზე არ გადაიტანონ. იმიტომაცაა, რომ ჩვენში იდეური ბრძოლა იმავე დროს პირადობაზე გადააქვთ. ისე უეცრად რად მოიწყინა?

სალომეს ხმა. (ეზოში): ილიკო ნელა! არ დაეცე.

კესო. დედა მოდის. რომელი საათია?

ოქრო. შვიდი.

კესო. მაშ წასვლის დროა.

ოქრო. მეც მზადა ვარ.

კესო. (შევა ოთახში).

შემოდის სალომე.

სალომე. გენაცვალე სულში. ესეც აქა ყოფილა. (აკოცებს და მიიხუტებს) შენი ულვაშების ჭირიმე, შვილო, შენი! ასეთი დღე სავსე სიხარულით და ბედნიერებით, მთელ ჩემ გამოზრდაში არ მახსოვს. ეს დღე საკუთრად ჩემია. მეშინიან კი. ბედი არ დამცინოდეს.

ოქრო. დაგარწმუნებთ, რომ თქვენი სიხარულით მეცა ვხარობ. სხვა, სადა ბრძანებულხართ?

სალომე. მამა-დავითში. შეგეწიოთ იმისი მადლი. თქვენი ბედნიერად ყოფნა შევსთხოვე უფალს.

ოქრო. გმადლობთ, დიდათ გმადლობთ.

შემოდის კესო.

კესო. (გამოდის სრულიად გამოწყობილი) აი მეც მზადა ვარ.

ოქრო. მეც! აი დედა, მივდივართ, რომ მოგიყვანოთ დიდი ხნის ნანატრი შვილი.

სალომე. აბა, ჩქარა, თორემ გაწყალდა გული. თუ დღესაც არ მოსულა, მერე თვალით არ დამენახოს.

კესო. იმ დეპეშის შემდეგ განა შეიძლება არ მოვიდეს?

შემოდის გიორგი.

გიორგი. საით?

კესო. სადგურზე. ლეოს დასახვედრად. შენ არ წამოხვალ?

გიორგი. არა.

სალომე. შვილო! თუ გცალიან, რა გიჭირს ამათთან შენც წახვიდე? იამება.

გიორგი. ძალიან დაღლილი ვარ. ვფიქრობ, არა დაშავდარა.

კესო და ოქრო. (გადიან).

გიორგი. (ოფლს იწმენდს, გაივლ-გამოივლის) დედა! ბიჭი სად არის?

სალომე. აგერაა ეზოში, თამაშობს.

სალომე. შვილო! რაღაც სხვანაირად მეჩვენები. ავად ხომ არა ხარ, გენაცვალოს დედა?

გიორგი. არა.

სალომე. მაშ, გაშალე ეგ შუბლი, განა დღევანდელ დღეს ეს შეჰფერის?

გიორგი. არაფერია, დედა, არაფერი. დავიღალე და იმის ბრალია. (აივანზე გავა და მოაჯირთან ჩამოჯდება. გააბოლებს).

სალომე. (გაჩერდება ღია ფანჯარასთან შიგნით).

სალომე. წელან ქოქრაანთ მარიამი მოვარდა გულ-გახეთქილი. შენი ნახვა უნდოდა ძლიერ.

გიორგი. რა მოსვლია?

სალომე. სტუდენტებს ამბავი მოუტანიათ რუსეთიდან, შაქრო იქაურ ქალზე ინიშნებაო და დარდისაგან სულ თმებს იგლეჯდა საწყალი. შვილო! ვიცი, ის ბიჭი, შენი ძლიერ ერთგულია და თუ მართლაც მოინდომებ იქნება მარიამის ბედზე მოაბრუნებინო პირი ჩვენსკენ. ხომ იცი რა კაპასებია ი გასაწყვეტნი. ვინც იმათ გადაეკიდა, არავის ხეირი არ დაჰყრია. როცა ჩვენი არა სწამთ რა, რაღას ებღაუჭებიან ეს თვალ-დამდგარები. განა არ გახსოვს რა ოინი უყო სხვაგნიდან მოყვანილმა გომბიომ თ-დ კოტეს? იმდენი დამცირება რომ არ აკმარა, აიღო და საყვარელს თარი ზედ თავზე გადაამტვრია.

გიორგი. დაგვიანებულია. შაქროს უკვე შეურთავს უცხოელი ქალი.

სალომე. ვაი, საბრალო მარიამ! ჰხედავთ რა დრო დაგვიდგა!.. ლამის სულ გადაგვარჯულონ ამ ლაწირაკებმა. ეხლა კი მართლა მჯერა, რომ ჩვენი ამომგდები ჩვენივე უხასიათობა ყოფილა. (გადის სამზარეულოში).

გიორგი. (ილიკოს ეძახის) ილიკო! გეყოფა კარში ყოფნა.

სალომე. (ზალაში გამოდის) მოვიდა ჩვენი ხტუნია?

გიორგი. დედა! ამას ეძინება.

სალომე. უჭმელი როგორ დავაძინო!

ილიკო. არაფერიც არ მინდა.

სალომე. როგორ იქნება დილას აქეთ შენს პირში ლუკმა არ ჩასულა. (გიორგის) ნახე სიცხე ხომ არ აქვს.

გიორგი. (მაჯას უშინჯავს) არა.

ილიკო. იჰ, სიცხე კი არა!

სალომე. მაშ, დაიძინე, ჩემო ყაყაჩო დაიძინე. (მიჰყავს).

გიორგი. (გაივლ-გამოივლის, უეცრივ მიუჯდება საწერ მაგიდას, ამოიღებს ქაღალდს, და შეუდგება წერას).

(მცირე პაუზა.)

შემოდის თამარი.

თამარ. (გამოჩნდება წინა კარებში. ოდნავ შეკრთება და შედგება, თითქოს სულის მოსაბრუნებლად. აღელვება ემჩნევა).

თამარ. ბ-ნო მარგალიტაძე!

გიორგი. (მიიხედავს და იმის დანახვაზე სწრაფად წამოდგება). ახ! (საჩქაროდ იცვამს პიჯაკს) ქ-ნო თამარ! თქვენ, ასე მოულოდნელად, რას მივაწერო?

თამარ. (შემოდის სახლში) გიკვირთ განა?

გიორგი. ერთის მხრით—დიაღ, ისე კი მოგეხსენებათ, ქვეყნად არა არის რა გასაკვირველი.

თამარ. უკაცრავად, რომ ჩემის მოსვლით საქმეს მოგაცდინეთ.

გიორგი. არაფერია, ბატონო, გთხოვთ! (სკამზე უჩვენებს) ნუ სწუხდებით.

თამარ. მე მალე გიახლებით.

გიორგი. თქვენი ნებაა. რით შემიძლიან გემსახუროთ? თუ არ ვცდები, აღელვებული უნდა ბრძანდებოდეთ.

თამარ. განა შემიძლიან გულ-გრილად ვუცქირო მამის დამღუპველს?

გიორგი ოჰო! რა გნებავთ?

თამარ. უწინარეს ყოვლისა მე მინდოდა ახლოს, პირისპირ მენახა ჩვენი ცნობილი მწერალი, რომელმაც ასეთი კვალი დააჩნია ქართულ აზროვნებას. რაღაც მანქანებით შემოიკრიბა თავის გარშემო უმრავლესობა და შეერთებული იერიშით მიესივნენ უდანაშაულო მოხუცებს. ახ რომ იცოდეთ ბ-ნო მარგალიტავ ამ ხანად მე თქვენ როგორა მძულხართ, მაგრამ ეს საქმეს. არ შეეხება. თვალებში გატყობთ, რომ დამცინით, მაგრამ ეხლა ჩემთვის სულ ერთია რა აზრისაც უნდა იყოთ ჩემზე.

გიორგი. რას ითხოვთ ჩემგან?

თამარ. მე მოვითხოვ თქვენგან ჩვეულებრივ ზრდილობას. თქვენმა შხამიანმა კალამმა მამაჩემი სიკვდილის პირამდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა მაინც არ სცხრებით. შეუბრალებელო კაცო! თავი დაანებეთ, ნუ აღელვებთ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს მაინც ნუ უშხამავთ. ის მარტო მამა-ჩემი არაა. იმავე დროს ის ძვირფასი ეროვნული საუნჯეა და მის აბუჩად აგდებას არ გაპატიებთ.

გიორგი. აი საქმე რაში ყოფილა! მერე, ბატონო, მერე?

თამარ. მე კიდევა მქონდა ცოტა რამ სათქმელი, მაგრამ იქნებ თავი მოგაბეზრეთ.

(შემდეგი იქნება).

ტრ. რამიშვილი.

ნებადართულია სასაპლრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა". რედაქტორ გამომცემელი დ. ჯორჯაძე